საქართველოს მთავრობის

დადგენილება №301

2023 წლის 14 აგვისტო

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III , №33, 31/03/2010 წელი) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების 1^{17} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 122-ე – 125-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი თანხა ზედმეტად გადახდილად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) არ განხორციელდა ექსპორტის პროცედურით იმ საქონლის გატანა, რომლის ექსპორტის პროცედურაში გაფორმებისთვისაც გადახდილია მომსახურების საფასური;

ბ) მომსახურების საფასურის თანხა გადახდილია შეცდომით ან ამ დადგენილებით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

ა) 122-ე და 123-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„122	შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისა და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენის, ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობისა და შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის გარდა) ექსპორტის პროცედურაში გაფორმება		1 ტონა – 320 ლარი
123	შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტის პროცედურაში გაფორმება		1 ტონა – 40 ლარი“;

ბ) 124-ე , 125-ე და 125[1] გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„124	ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტის პროცედურაში გაფორმება		1 ტონა – 50 ლარი
125	შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტის პროცედურაში გაფორმება		1 ტონა – 10 ლარი
125[1]	ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) მაკომპლექტებელი ნაწილების (მათ შორის, ამორტიზებული მაყუჩის ფილტრის ან/და მაყუჩის კერამიკული ფილტრის) ნარჩენის/ჯართის ექსპორტის პროცედურაში გაფორმება		1 კილოგრამი – 6 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 29 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**